

შპს „ტექნო S“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404878673

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება/ზარალის ანგარიშგება -----	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	7
ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება -----	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	10


შპს "ტექნო S"

ს/კ 404878673

		ფინანსური ანგარიშგების უწყისი	
		31.12.2022	31.12.2021
შენიშვნები			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	119,864	-
სხვა მიმდინარე აქტივები	2	-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		119,864	-
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და მათი ექვივალენტები	3	3,098,330	1,740,918
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	4	48,227	8,940
გადახდილი ავანსები			
სხვა მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	108,174	45,841
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		3,254,731	1,795,699
მთლიანი აქტივები		3,374,595	1,795,699
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი(დაგროვილი მოგება)	6	2,286,180	999,659
გადაფასების რეზერვი		-	-

სხვა რეზერვები		-	-
		2,286,180	999,659
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო			
ვალდებულებები	7	1,088,415	796,040
სახელფასო ვალდებულებები	8		
საგადასახადო ვალდებულებები	9		
მოკლევადიანი საბანკო სესხი		-	-
საპროცენტო		-	-
ვალდებულება		-	-
სხვა მოკლევადიანი სესხი		-	-
		1,088,415	796,040
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საბანკო სესხი		-	-
ლიზინგი		-	-
სხვა გრძელვადიანი		-	-
ვალდებულებები		-	-
		-	-
სულ ვალდებულებები		1,088,415	796,040
სულ მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,374,595	1,795,699

ხელმოწერილი პირები:


 არჩილ კონიაშვილი

დირექტორი

შპს "ტექნო S"

ს/კ 404878673

		მოგება - ზარალის ანგარიშგება	
		31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	3,727,683	2,660,121
სხვა შემოსავალი			
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	11	2,093,734	2,295,091
საერთო მოგება		1,633,949	365,030
სულ საოპერაციო ხარჯები			
სხვა შემოსავალი		-	-
საპროცენტო შემოსავალი	12	(185,308)	(103,266)
მომსახურე პერსონალის ხელფასები	13	302,890	206,779
ცვეთა და ამორტიზაცია	14	4,995	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
იჯარის ხარჯი		-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	15	56,943	159,949
		179,520	263,462
საოპერაციო მოგება		1,454,429	101,568
		1,454,429	101,568
მოგება დაბეგვრამდე			
		1,454,429	101,568
წმინდა მოგება		1,454,429	101,568
დივიდენდის განაწილება	16	(167,908)	(82,905)
მთლიანი სრული შემოსავალი		2,286,180	999,659

ხელმოწერი პირები:

არჩილ კონიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2023
თბილისი, საქართველო

შპს "ტექნო S"
ს/კ 404878673

	კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება				(ლარი)
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწლებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი	
2022 წლის 1 იანვარი	-	-	999,659	999,659	
წმინდა მოგება	-	-	1,454,429	1,454,429	
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,454,429	1,454,429	
გაცემული დივიდენდი	-	-	(167,908)	(167,908)	
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,286,180	2,286,180	

ხელმოწერილი პირები:

არჩილ კონიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2023
თბილისი, საქართველო

შპს "ტექნო S"
ს/კ 404878673

ძირითადი საშუალებების მოძრაობის უწყისი
(ლარი)

	მიწის ნაკვეთები	ავეჯი და ოფისის ადრუვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	შენობა ნაგებობა	სულ
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-	-
შეძენა	-	-	-	124,859	124,859
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	-	4,995	4,995
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	-	119,864	119,864

31.12.2022

ნეტო საბალანსო
ღირებულება

119,864

ხელმოწერილი პირები:

არჩილ კონიაშვილი



დირექტორი

30 სექტემბერი 2023
თბილისი, საქართველო

შპს "ტექნო S"
ს/კ 404878673


ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
(ლარი)

	<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>1,108,654</u>	<u>(183,505)</u>
ფულადი სახსრები საინვესციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	185,307	103,266
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/კლება ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	1,293,961	(80,239)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	63,451	23,412
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,740,918	1,797,745
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასასრულს	3,098,330	1,740,918

ხელმოწერილი პირები:

არჩილ კონიაშვილი

დირექტორი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ტექნო S" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2010 წლის 12 ნოემბერს, მისი საიდენტიფიკაციო კოდია 404878673, მისი საქმიანობაა სამშენებლო ინვენტარის, იმპორტი და მისი რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 29, კორპ #1, ბინა 72, კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, საკუთას საოფისე ფართში, რომელიც მდებარეობს აღნიშნულ მისამართზე. ალ. ყაზბეგის #29ბ, კორპ#1, ბინა 75.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელთა წილობრივი მონაცემები შემდეგია:

არჩილ კონიაშვილი /საქართველო 01024026686

100%

მეკავშირე საწარმოები

შპს "ტექნო S"-ს არ გააჩნია მეკავშირე საწარმოები ან ფილიალები.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოში ანგარიშწორების ვალუტა არის ლარი, შესაბამისად ყველა წარმოდგენილი ანგარიში არის ეროვნულ ვალუტაში. კომპანიას გააჩნია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, რომელიც თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის არსებულ ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით, ანგარიშის მომენტისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივი და სავაჭრო მოთხოვნები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით, ანგარიშსწორების დროს წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე

უცხოური ვალუტის კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2021 წელი - 1 აშშ დოლარი / ლარი - 3.0976

	1 ევრო/ლარი	- 3.5040
31 დეკემბერი 2022 წელი -	1 აშშ დოლარი / ლარი	- 2.7020
	1 ევრო/ლარი	- 2.8844

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ტერიტორიული მდებარეობა კომპანიას ხელს უწყობს გაზარდოს თავის საქმიანობის სფერო, რადგანაც იგი ახდენს სამშენებლო ინვენტარის იმპორტს და მის რეალიზაციას როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი. საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო სტიმულს აძლევს კომპანიას გააფრთოვოს ბიზნესი. მენეჯმენტის მხრიდან ასევე დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი პირობები.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფასს_თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგი შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებისგან.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებებზე, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება, სააღრიცხვო

შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გადახედვა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი გრძელვადიანი და მოკლევადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან მოხმარება მისი საოპერაციო ციკლის პერიოდში, ანუ 1 წელზე მოკლე პერიოდში, ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია თუ მისი დაფარვა დაგეგმილია ჩვეულებრივი საოპერაციოს ციკლის პერიოდში, ან მისი დაფარვა დაგეგმილია ამ ვალდებულების წარმოშობიდან თორმეტ თვიან პერიოდში, ყველა სხვა ვალდებულება გრძელვადიანია

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 3)

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
<u>ფული და მათი ექვივალენტები</u>	<u>3 098 330</u>	<u>1 740 918</u>

ფული და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში არსებულ ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ჩათვლის მათი ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამის ექვივალენტში. იგი ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელოვანეს რისკს. ანგარიშგების წრდგენის მომენტისთვის კომპანიას მომსახურე ბანკებში განთავსებული აქვს დეპოზიტები, რაც შესაბამისად გათვალისწინებულია აღნიშნულ პუნქტში.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 4)

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	48 227	8 940
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
<u>სულ</u>	<u>48,227</u>	<u>8,940</u>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით მათი წარმოშობის მომენტისთვის, უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნა აღიარება მათი წარმოშობის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანია ყველა მომხმარებელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და მოქმედებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

გასაყიდი პროდუქციის ღირებულების წინასწარ საავანსოდ თანხის გადახდა არ ხდება და შესაბამისად კომპანიას არ გააჩნია გადახდილი ავანსები. კომპანიას ლიკვიდური აქტივის სახით უფიქსირდება სასაქონლო მატერიალური მარაგები საანგარიშო პერიოდის ბოლოს **(შენიშვნა 5)**

7. ძირითად საშუალებები (შენიშვნა 1)

გრძელვადიანი აქტივები	31.12.2022	31.12.2021
<u>ძირითადი საშუალებები</u>	<u>119,864</u>	-

ანგარიშგების წარდგენის მომენტში კომპანიას ძირითადი საშუალების სახით უფიქსირდება საოფისე ფართი, და შესაბამისად მათზე ცვეთის დარიცხვას ახორციელებს სწფივი მეთოდით. აქტივის სალიკვიდაციო ვადად აღებული აქვს 25 წლიანი სალიკვიდაციო პერიოდი.

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები/მარაგები (შენიშვნა 5)

კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს სხვადასხვა მომწოდებლისგან, მომხმარებლებისთვის მათ მიწოდებამდე მარაგების სახით ღროებით განათავსებს მათ და მოთხოვნის შესაბამისად ახდენს მათ ექსპორტს წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ოპერაციები აისახება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო სააბგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სასაქონლო მარაგები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

	31.12.2022	31.12.2021
სასაქონლო მატერიალური მარაგები	108 174	45 841

9. სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 7, 9)

კომპანიას გააჩნია კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ, მათი აღიარება ხდება მათი წარმოშობის მომენტისთვის, არარეზიდენტის შემთხვევაში ვალდებულება აღიარდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ანგარიშწორება ასევე ხდება შესაბამის ვალუტაში და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგება/ზარალის ანგარიშში.

შპს „ტექნო S“	ფინანსური ანგარიშგება 2022წ	
მიმდინარე ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,088,415	796,040
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ	1,088,415	796,040

10. სახელფასო ვალდებულებები (შენიშვნა 8, 13)

კომპანიის თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2022
მომსახურე პერსონალის ხელფასები	302 890

კომპანიის თანამშრომლებზე სახელფასო ანაზღაურების დარიცხვა და გაცემა მოხდა შესაბამის საანგარიშო პერიოდში, მისი გაცემა მოხდა უნაღდო ანგარიშწორების წესით და შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლოს სახელფასო დავალიანება კომპანიას არ უფიქსირდება.

11. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას საგადასახადო ვალდებულების სახით ანგარიშის წარდგენის მომენტისთვის დავალიანება არ უფიქსირდება. იგი ბიუჯეტში იხდის ხელფასის საშემოსავლოს, საპენსიო გადასახადს და ღღ-ს, ასევე იმპორტის გადასახადს და საბაჟოზე წარმოშობილ ღღ-ს, აღნიშნული გადასახადების გადახდას ახდენს შესაბამის საანგარიშო პერიოდში, შესაბამისად საბიუჯეტო ვალდებულება არ უფიქსირდება.

გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები, არც საბანკო სესხი ან რაიმე სხვა მოკლევადიანი სხვა ვალდებულება.

12. ძირითადი შემოსავალი და საგადასახადო კანონმდებლობა (შენიშვნა 10,11,12)

	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 727 683
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2 093 734

შპს „ტექნო S“-ს საქმიანობაა სამშენებლო ინსტრუმენტების იმპორტი და მისი რეალიზაცია, იმპორტის შემთხვევაში პროდუქცია საჭიროებს საბაჟო გაფორმებას და შესაბამისად ყველა აღნიშნული ოპერაციის დროს ხდება მათი დეკლარირება. შემოსავალში აღიარება ხდება საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშწორების სახით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, ამ ოპერაციის გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში.

13. სხვა შემოსავლები (შენიშვნა 12)

31.12.2022

სხვა შემოსავალი

185 308

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპანიას საბანკო ანგარიშებზე განთავსებული აქვს დეპოზიტები ფულადი სახით, შესაბამისად ყოველთვიურად ხდება მათზე ვადიანი სარგებლის დარიცხვა და იგი ასახულია სხვა შემოსავალში, რომელიც განთავსებულია დაგროვილ კაპიტალში.

14. იჯარის და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები. (შენიშვნა 14,15,16)

31.12.2022

იჯარის ხარჯი

-

ცვეთა და ამორტიზაცია 4995

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

56 943

იჯარის ხარჯი

კომპანიას არ აქვს იჯარით აღებული რაიმე ქონება თუ საოფისე ფართი, შესაბამისად არ ხდება იჯარის ხარჯის დარიცხვა.

ცვეთა და ამორტიზაცია

უძრავ ქონებაზე კომპანია ახდენს ამორტიზაციის დარიცხვას წრფივი მეთოდის საშუალებით, სალიკვიდაციო პერიოდად მიჩნეულია 25 წელი, აქტივის შეძენა მოხდა 2019 წელს. ყოველწლიური აქტივის ამორტიზაცია ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები(შენიშვნა 15)

კომპანიას გააჩნია ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები, როგორიცაა კომუნალური, სამეურნეო, კომპიუტერული და სხვა ხარჯები, შესაბამისად იგი დარიცხულია საანგარიშო პერიოდში და ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

15. გაცემული დივიდენდები (შენიშვნა 16)

კომპნია ყოველთვიურად ახდენს დივიდენდის გაცემას, რომლის გაცემის დროსაც შესაბამისად ახდენს მის დაბეგვრას როგორც საშემოსავლო, ისე მოგების გადასახადით.

16. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპნიას როგორც ზემოთ ვახსენეთ არ ჰყავს დაკავშირებული კომპანიები.

17. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა, შესაძარისი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
არჩილ კონიაშვილი
30 სექტემბერი 2023წ.

